



2023

“ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	5
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია მეკავშირე საწარმოს და შვილობილის შესახებ	14
5. საოპერაციო შემოსავალი	15
6. საოპერაციო ხარჯები	15
7. ფინანსური ხარჯი, წმინდა	16
8. ძირითადი საშუალებები	16
9. ბიზნეს კომბინაცია და გუდვილი	17
10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	17
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
13. მიღებული სესხები	18
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
15. ფინანსური რისკების მართვა	19
16. დაკავშირებული მხარეები	22
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	22
მმართველობის ანგარიშგება	23-25



ტობ 2008 შპს „ტობ 2008“

საქართველო, ქ. გარდაბანი, დაღმაშენებლის ქ. №129; საიდენტიფიკაციო კოდი № 226579574; საბანკო რეკვიზიტები:
სს „ალიბერტი ბანკი“ (კოდი) LBRTGE22; ტელეფონი 599 58 16 51 ანგარიშის ნომერი: GE87BL0113157902407000;
მიმღები: შპს „ტობ 2008“; მეილი ramaz.1951@mail.ru; <ramazm98@gmail.com> .tob20081951@yahoo.com

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრისა“ და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ არსებითი უზუსტობააა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეიცარიის აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვდენილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

რამაზ მეფარიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-305295)

შპს ტობ 2008 (SARAS-F-573522)

17 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემაგალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

რამაზ მეფარიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-305295)

შპს ტობ 2008 (SARAS-F-573522)

17 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო





“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო შემოსავალი	5	19,863	18,979
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(16,924)	(15,712)
საერთო მოგება		2,939	3,267
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,696)	(2,452)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	7	(958)	(797)
წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში	4	251	330
სხვა შემოსავალი		47	60
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(7)	14
ზარალი დაბეგვრამდე		(424)	422
მოგების გადასახადი		(61)	(78)
წლის წმინდა ზარალი		(485)	344
წლის სხვა სრული შემოსავალი	8	(256)	185
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(741)	529

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 დეკემბერს.

დირექტორი
 კონსტანტინე ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
 ეკატერინე ჯოხაძე

“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო შემოსავალი	5	19,863	18,979
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(16,924)	(15,712)
საერთო მოგება		2,939	3,267
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,696)	(2,452)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	7	(958)	(797)
წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში	4	251	330
სხვა შემოსავალი		47	60
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(7)	14
ზარალი დაბეგრამდე		(424)	422
მოგების გადასახადი		(61)	(78)
წლის წმინდა ზარალი		(485)	344
წლის სხვა სრული შემოსავალი	8	(256)	185
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(741)	529

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 დეკემბერს.

დირექტორი
 კონსტანტინე ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
 ეკატერინე ჯოხაძე


“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)


	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	12,217	12,756
გუდვილი	9	448	448
არამატერიალური აქტივები		59	68
ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში	4	275	424
		12,999	13,696
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	1,758	1,600
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	5,717	4,861
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	82	69
		7,557	6,530
სულ აქტივები		20,556	20,226
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		352	352
გადაფასებების რეზერვი	8	6,757	7,013
გაუნაწილებელი მოგება		2,132	2,964
სულ კაპიტალი		9,241	10,329
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	3,628	4,446
		3,628	4,446
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	13	3,305	1,601
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	4,382	3,850
		7,687	5,451
სულ ვალდებულებები		11,315	9,897
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,556	20,226

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 დეკემბერს.

დირექტორი
კონსტანტინე ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
ეკატერინე ჯოხაძე





“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	12,217	12,756
გუდვილი	9	448	448
არამატერიალური აქტივები		59	68
ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში	4	275	424
		12,999	13,696
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	1,758	1,600
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	5,717	4,861
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	82	69
		7,557	6,530
სულ აქტივები		20,556	20,226
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		352	352
გადაფასების რეზერვი	8	6,757	7,013
გაუნაწილებელი მოგება		2,132	2,964
სულ კაპიტალი		9,241	10,329
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	3,628	4,446
		3,628	4,446
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	13	3,305	1,601
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	4,382	3,850
		7,687	5,451
სულ ვალდებულებები		11,315	9,897
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,556	20,226

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 დეკემბერს.

დირექტორი
კონსტანტინე ყიფიანი


ფინანსური დირექტორი
ეკატერინე ჯოხაძე

“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)


	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი (შენიშვნა 8)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352	6,828	2,951	10,131
წლის წმინდა მოგება	-	-	344	344
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	185	-	185
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	185	344	529
დივიდენდების გამოცხადება	-	-	(331)	(331)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352	7,013	2,964	10,329
წლის წმინდა მოგება	-	-	(485)	(485)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(256)	-	(256)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(256)	(485)	(741)
დივიდენდების გამოცხადება	-	-	(347)	(347)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352	6,757	2,132	9,241

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 დეკემბერს.

დირექტორი
კონსტანტინე ყიფიანი



ფინანსური დირექტორი
ეკატერინე ჯოხაძე



“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ქართულ ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი (შენიშვნა 8)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352	6,828	2,951	10,131
წლის წმინდა მოგება	-	-	344	344
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	185	-	185
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	185	344	529
დივიდენდების გამოცხადება	-	-	(331)	(331)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352	7,013	2,964	10,329
წლის წმინდა მოგება	-	-	(485)	(485)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(256)	-	(256)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(256)	(485)	(741)
დივიდენდების გამოცხადება	-	-	(347)	(347)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	352	6,757	2,132	9,241

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 დეკემბერს.

დირექტორი
 კონსტანტინე ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
 ეკატერინე ჯოხაძე


“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაზღვევამდე		(485)	344
კორექტირებები:			
- მოგების გადასახადის ხარჯი		61	78
- ცვეთა და ამორტიზაცია	6	712	617
- მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		7	(14)
- საპროცენტო ხარჯი	7	959	800
- საპროცენტო შემოსავალი	7	(1)	(3)
- წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში	4	(251)	(330)
- ხარჯების ჩამოწერა		2	-
- მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	6	250	347
- სხვა შემოსავალი		(47)	(60)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		1,207	1,779
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		(1,108)	(961)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)		(158)	(112)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		579	890
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები		520	1,596
გადახდილი პროცენტი	13	(953)	(797)
მიღებული პროცენტი		1	3
გადახდილი მოგების გადასახადი		(61)	(68)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(493)	734
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(469)	(1,006)
ძირითადი საშუალებების გასვლა		48	2
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(4)
დივიდენდების მიღება ერთობლივი მეკავშირესგან	4	400	350
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(21)	(658)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა	13	(15,746)	(12,135)
სესხების მიღება	13	16,626	12,522
გადახდილი დივიდენდები		(347)	(430)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		533	(43)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(6)	-
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		19	33
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	69	36
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	82	69

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 დეკემბერს.

დირექტორი
კონსტანტინე ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
ეკატერინე ჯობაძე



5-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		(485)	344
კორექტირებები:			
- მოგების გადასახადის ხარჯი		61	78
- ცვეთა და ამორტიზაცია	6	712	617
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		7	(14)
- საპროცენტო ხარჯი	7	959	800
- საპროცენტო შემოსავალი	7	(1)	(3)
- წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში	4	(251)	(330)
- ხარჯების ჩამოწერა		2	-
- მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	6	250	347
- სხვა შემოსავალი		(47)	(60)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		1,207	1,779
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		(1,108)	(961)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)		(158)	(112)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		579	890
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები		520	1,596
გადახდილი პროცენტი	13	(953)	(797)
მიღებული პროცენტი		1	3
გადახდილი მოგების გადასახადი		(61)	(68)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(493)	734
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(469)	(1,006)
ძირითადი საშუალებების გასვლა		48	2
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(4)
დივიდენდების მიღება ერთობლივი მეკავშირესგან	4	400	350
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(21)	(658)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა	13	(15,746)	(12,135)
სესხების მიღება	13	16,626	12,522
გადახდილი დივიდენდები		(347)	(430)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		533	(43)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(6)	-
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		19	33
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	69	36
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	82	69

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 17 დეკემბერს.

დირექტორი
კონსტანტინე ყიფიანი

ფინანსური დირექტორი
ეკატერინე ჯოხაძე

1. ძირითადი საქმიანობა

„ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი“ („მშობელი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მშობელი და მისი შვილობილი (შენიშვნა 2.4. კონსოლიდაციის საფუძველი) ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ფართო სპექტრის სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პაციენტებისთვის.

ჯგუფის კლინიკა მდებარეობს თბილისში, დილომში, ჩაჩავას №1.

ჯგუფის მფლობელები არიან:	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
გიორგი ყიფიანი	96%	96%
ზაზა კაციტაძე	2%	2%
ნუგზარ ფარდალავა	1%	1%
მამუკა ბოკუჩავა	1%	1%
	100%	100%

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ჯგუფი წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომარეობის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც,

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.1. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ექვი დაზადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი და შეცვლილი სტანდარტები

ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ბასს 1-ში შესული ცვლილებებისა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაციის გამოკლებით, როგორც ამ შენიშვნაშია აღნიშნული, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა სტანდარტი ან ცვლილება არ მოქმედებს:

► სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში

შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია „არსებითობის განსჯა“ შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შეახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ჯგუფმა გადახედა ამ შენიშვნაში გამჟღავნებულ ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გადახედილი არსებითი ინფორმაცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ მიუსადაგა ჯგუფმა ფასს-ის მოთხოვნები თავის გარემოებებს და ძირითადად მოიცავს იმ მუხლებს, სადაც ჯგუფმა არჩია ფასს-ის მიერ დაშვებული ვარიანტებიდან მინიმუმ ერთი სააღრიცხვო პოლიტიკა, მუხლებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განსჯაზე ან შეფასებებზე და არ მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ იმეორებს ან აჯამებს ფასს-ის მოთხოვნებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკებს არაარსებითი საკითხების შესახებ.

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ბასს (IAS) 8-ის შესწორებები
- ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში
- საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები – ბასს (IAS) 12-ის ცვლილება.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (თუ მას შეეხო) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად
- ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში

ცვლილებები ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობლის და მისი შვილობილის შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებს და ვალდებულებებს.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი, ე. ი. ჯგუფი იღებს ან აქვს უფლება მიიღოს ცვლადი უკუგება საწარმოში მისი ჩართულობის საფუძველზე და აქვს ამ უკუგებაზე გავლენის მოხდენის უნარი ორგანიზაციის შესაბამისი საქმიანობების მართვის მის ხელთ არსებული ამჟამინდელი შესაძლებლობით

(უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოზე). შვილობილის კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეთება მთლიანად კონსოლიდაციისას.

ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში ცალკე არის წარმოდგენილი არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილების წმინდა აქტივებში და შედეგებში.

მშობელი ფლობს მისი ერთადერთი შვილობილის - შპს „ჩაჩავა 1-ს“ („შვილობილი“) 100%-ს. შვილობილი დაფუძნდა 2012 წლის 16 თებერვალს, შპს „ჩაჩავა 1“ ფლობს ქონებას და აქირავებს კონკრეტულ ფიზიკურსა და იურიდიულ პირებზე.

2.4. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება შემოსავლის საიმედო შეფასება.

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, გაწეული ხარჯების იმ მოცულობის ფარგლებში, რომლის ანაზღაურებაც შესაძლებელია. შემოსავალი არის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება, რომელსაც აკლდება მოსალოდნელი დაბრუნება, სავაჭრო ფასდაკლებები და ბრუნვის გადასახადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფის შემოსავლის უდიდესი ნაწილი წარმოიშობა სამედიცინო მომსახურების გაწევიდან. სამედიცინო მომსახურებების ძირითადი მიმართულებებია:

- ამბულატორიული მომსახურება (ამბულატორია)
- სტაციონარული მომსახურება (ქირურგიული ოპერაციები, ინტენსიური თერაპია, საავადმყოფოში დარჩენა 24 საათზე მეტ ხანს)

ჯგუფი აღრიცხავს ხელშეკრულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ხელშეკრულების მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება და მზად არიან შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები
- ჯგუფს შეუძლია მოახდინოს ყველა იმ მხარის მოვალეობის იდენტიფიცირება, რომელსაც მიეწოდება მომსახურება
- ჯგუფს შეუძლია იდენტიფიცირება მოახდინოს გადახდის პირობების, რომელიც დაკავშირებული მომსახურების მიწოდებასთან
- ხელშეკრულებას გააჩნია ეკონომიკური შინაარსი
- მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მოახერხებს იმ თანხების მიღებას, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან.

ამბულატორიული მომსახურება - მისი გაწევა ხდება წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც პაციენტი განაცხადებს მზადყოფნას სამედიცინო მომსახურების მისაღებად. შეთანხმებას ამბულატორიული მომსახურების თაობაზე არ აქვს ვადის ამოწურვის თარიღი. ვინაიდან ამბულატორიული მომსახურების ხანგრძლივობა 24 საათზე ნაკლებია და ითვლება პაციენტისთვის სრულად გაწეულად, ამბულატორიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმავე მონაკვეთში.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

სტაციონარული მომსახურება - მისი გაწევა ხდება აგრეთვე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. სტაციონარული მომსახურების ხანგრძლივობა შეიძლება მერყეობდეს ერთი დღიდან რამდენიმე თვემდე. შემოსავლის აღიარება ხდება პაციენტის საავადმყოფოდან გაწერის მომენტში.

ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი გამარტივებული მიდგომები:

- ჯგუფი არ აკორექტირებს ანაზღაურების დათქმულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუ პერიოდი, როდესაც კომპანია კლიენტს გადასცემს დაპირებულ საქონელს ან უწევს მომსახურებას და როდესაც კლიენტი იხდის თანხას საქონლის ან მომსახურებისთვის, არის ერთი წელი ან უფრო ნაკლები, და
- ჯგუფი კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებულ დამატებით დანახარჯებს აღიარებს, როგორც გაწეულ ხარჯს, რომელიც დგება იმ შემთხვევაში, თუ იმ აქტივის ამორტიზაციის პერიოდი, რომელსაც ჯგუფი სხვაგვარად აღიარებდა, წარმოადგენს ერთ წელს ან უფრო ნაკლებს.

2.5. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მიწუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	ცვეთის მეთოდი
შენობები	2% წრფივად
სამედიცინო აღჭურვილობა	15-40% წრფივად
სხვა	15-40% წრფივად
მიწა	არ იცვითება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.6. არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის ხარჯი ერიცხება არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (7 წელი) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ მსგავსი მომსახურების ვადა უსასრულო არ არის. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.7. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მომველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს-მოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI)“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- ჯგუფმა გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) ჯგუფმა გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) ჯგუფს არც გაუსხვისებია და არც ინარჩუნებს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის, რომელსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტის სესხების შემთხვევაში.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოიწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლდება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.10. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით.

2.11. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.98
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	2.63	2.84
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	2.92	3.08

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.12. მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.12. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს პირობით მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აისახება სხვა საოპერაციო ხარჯებში.

2.13. ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-10 შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,055 ლარს და 1,805 ლარს, შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასაზღვრათ, შესაბამეა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა (გაგრძელება)

განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

4. შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია მეკავშირე საწარმოს და შვილობილის შესახებ

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია, არამაკონტროლებელი წილისთვის განკუთვნილ თანხებთან ერთად, ეფუძნება მეკავშირე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში.

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	424	444
წილი მეკავშირე საწარმოს მოგება/(ზარალში)	251	330
მიღებული დივიდენდები მეკავშირე საწარმოსგან	(400)	(350)
31 დეკემბრის მდგომარეობით	275	424

კომპანია ფლობს შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორიის“ 50%-ს და აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ მეკავშირე საწარმოზე, რომელსაც აკონტროლებს კომპანიის დაკავშირებული მხარე - შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“.

ქვემოთ წარმოდგენილია მეკავშირე საწარმოს შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია ფასს-ების შესაბამისად:

	31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	
	2023	2022
მიმდინარე აქტივები	776	1,078
გრძელვადიანი აქტივები	204	149
მიმდინარე ვალდებულებები	(429)	(339)
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	(39)
შვილობილის წმინდა აქტივები	551	848
კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოში	50%	50%
მფლობელი კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოში	275	424
საოპერაციო შემოსავალი	3,099	2,930
მოგება წლის განმავლობაში	(297)	(39)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	503	661
წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში	251	330

კომპანია ფლობს შპს „ჩაჩავს 1“-ის 100%-იან წილს, ქვემოთ მოცემულია ფინანსური ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება შვილობილი საწარმოს ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

4. შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია მეკავშირე საწარმოს და შვილობილის შესახებ (გაგრძელება)

	31-დეკ-23	31-დეკ-22
მოკლევადიანი აქტივები	130	158
გრძელვადიანი აქტივები	1,191	1,107
მოკლევადიანი ვალდებულებები	(11)	(7)
შვილობილის წმინდა აქტივები	1,310	1,258
შემოსავალი	128	141
მოგება დაბეგვრადმე	102	115
წლის სრული შემოსავალი	102	115

5. საოპერაციო შემოსავალი

	2023	2022
სტაციონალური მომსახურება	16,312	16,226
ამბულატორიული მომსახურება	3,089	2,203
სხვა სამედიცინო შემოსავალი	435	457
შემოსავალი მარაგების გაყიდვიდან	41	26
სხვა შემოსავალი	194	219
გაყიდვების დაბრუნება და ანარიცხები	(208)	(152)
სულ საოპერაციო შემოსავალი	19,863	18,979

6. საოპერაციო ხარჯები

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს გაწეული მომსახურების თვითღირებულებასა და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ბუნების მიხედვით.

<i>მომსახურების თვითღირებულება</i>	2023	2022
თანამშრომელთა კომპენსაცია	8,634	7,339
გამოყენებული მარაგები (მედიკამენტები და სამედიცინო მასალები)	5,384	5,575
ლაბორატორიული და სხვა სამედიცინო მომსახურება	1,203	1,245
ცვეთა და ამორტიზაცია	642	555
კომუნალურები	273	223
სხვა	788	775
სულ მომსახურების თვითღირებულება	16,924	15,712

<i>საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</i>	2023	2022
თანამშრომელთა კომპენსაცია	1,224	989
გაყიდვის ხარჯი	402	320
რემონტი და მოვლა-შენარჩუნების ხარჯი	249	269
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	250	347
სხვადასხვა სამეურნეო ხარჯები	202	182
ცვეთა და ამორტიზაცია	70	62
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	40	37
ბანკის საკომისიო	35	36
სხვა	224	210
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,696	2,452

“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

7. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი ბანკის სესხებზე	918	791
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეებისგან სესხებზე	33	5
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ლიზინგზე	8	4
საპროცენტო შემოსავალი	(1)	(3)
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	958	797

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	სამედიცინო აღჭურვილობა	სხვა	სულ
ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	10,906	3,767	1,058	15,731
შემენა	-	957	67	1,024
გადაფასების რეზერვი	(38)	-	-	(38)
გასვლა	-	(9)	-	(9)
31 დეკემბერი 2022	10,868	4,715	1,125	16,708
შემენა	-	383	86	469
გადაფასების რეზერვი	(256)	-	-	(256)
ცვეთის ელიმინაცია გადაფასებისას	(229)	-	-	(229)
გასვლა	-	(54)	-	(54)
31 დეკემბერი 2023	10,383	5,044	1,211	16,638
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2021	2	2,690	883	3,575
პერიოდის ცვეთა	224	322	62	608
ცვეთის ელიმინაცია გადაფასებისას	(224)	-	-	(224)
გასვლა	-	(7)	-	(7)
31 დეკემბერი 2022	2	3,005	945	3,952
პერიოდის ცვეთა	229	405	70	704
ცვეთის ელიმინაცია გადაფასებისას	(229)	-	-	(229)
გასვლა	-	(6)	-	(6)
31 დეკემბერი 2023	2	3,404	1,015	4,421
ნარჩენი ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	10,866	1,710	180	12,756
31 დეკემბერი 2023	10,381	1,640	196	12,217

ჯგუფის ქონება დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 13).

ჯგუფის მიწა და შენობები წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც გულისხმობს სამართლიან ღირებულებას შეფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მშობლის მიწა და შენობის შეფასება განხორციელდა 2023 წლის 31 დეკემბერს, დამოუკიდებელი შემფასებლების Colliers International Georgia-ს, ხოლო შვილობილის - შპს „რიალ აუდიტის“ მიერ, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების („IVS“) შესაბამისად.

შენობები თვითღირებულებით აღრიცხული რომ ყოფილიყო, მათი ნარჩენი ღირებულება იქნებოდა შემდეგი:

“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

შპს „ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი“	2023	2022
ღირებულება	4,452	4,452
დაგროვილი ცვეთა	(640)	(551)
წმინდა საბალანსო ღირებულება	3,812	3,901

შპს „ჩაჩავას 1“ ფლობს შენობა-ნაგებობებს.

ცვეთის ხარჯი შედის რეალიზაციის თვითღირებულებაში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

9. ბიზნეს კომბინაცია და გუდვილი

ჯგუფმა აღიარა გუდვილი, რომლებიც წარმოიქმნა 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ბიზნეს კომბინაციის შედეგად:

	31-დეკ-23	31-დეკ-22
შპს „ჩაჩავას 1“	448	448
სულ გუდვილი	448	448

გუდვილი გამოითვალა შემდეგნაირად:

გადახდილი თანხა:	1,352
მინუს: შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	(904)
სულ გუდვილი	448

შეძენილი საწარმოსა და ჯგუფის გაერთიანებული ოპერაციებიდან მოსალოდნელი სინერგიული ეფექტები განაპირობებს გუდვილის აღიარებას.

10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
მედიკამენტები და სამედიცინო მასალები	1,758	1,600
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,758	1,600

სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
მოთხოვნები „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსგან“	4,811	3,743
მოთხოვნები ფიზიკური პირებისგან	2,229	2,156
მოთხოვნები კლინიკებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან	125	146
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისგან	112	254
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	110	109
მოთხოვნები ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისგან	70	83
გაუფასურების რეზერვი	(2,055)	(1,805)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	5,402	4,686
გადახდილი ავანსები	271	167
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებს	2	8
საგადასახადო აქტივი, წმინდა	42	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,717	4,861

“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის არსებითი.

“ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“ (“NHA”) არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე. NHA იხდის დავალიანებას კომპანიის მიმართ მისი წარმოქმნიდან დაახლოებით 3 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაშლა ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 15-ში.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

31 დეკემბერი 2021	1,458
პერიოდის რეზერვის ხარჯი	347
31 დეკემბერი 2022	1,805
პერიოდის რეზერვის ხარჯი	250
31 დეკემბერი 2022	2,055

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული მოკლევადიანი სესხები შედგებოდა შემდეგი 1-წლიანი სესხებისგან:

	31-დეკ-23	31-დეკ-22
გაცემული მოკლევადიანი სესხები (GEL)	2	8
სულ გაცემული მოკლევადიანი სესხები	2	8

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

<i>ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკების მიხედვით</i>	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფულადი სახსრები სს „ბაზის ბანკში“	1	5
ფულადი სახსრები სს „საქართველოს ბანკში“	8	17
ფულადი სახსრები სს „თიბისი ბანკში“	65	37
ფულადი სახსრები სალაროში	8	10
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები:	82	69

13. მიღებული სესხები

		31-დეკ-23	31-დეკ-22
გრძელვადიანი სესხი სს „თიბისი ბანკისგან“ (GEL 5,054)	12.0%	3,099	3,768
გრძელვადიანი სესხი სს „თიბისი ბანკისგან“ (GEL 800)	14.5%	-	631
გრძელვადიანი სესხი სს „თიბისი ბანკისგან“ (GEL 141)	13.0%	487	47
სს „თიბისი ლიზინგის“ გრძელვადიანი ნაწილი (GEL)	19.25%	42	-
სულ გრძელვადიანი სესხები		3,628	4,446
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მიმდინარე ნაწილი (GEL 5,054)	12.5%	700	608
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მიმდინარე ნაწილი (GEL 800)	14.5%	145	131
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მიმდინარე ნაწილი (GEL 141)	13.0%	54	46
სს „თიბისი ბანკისგან“ საკრედიტო ხაზი	14.0%	1,003	580
სს „თიბისი ბანკისგან“ საკრედიტო ხაზი	13.8%	857	-
სს „თიბისი ბანკისგან“ საკრედიტო ხაზი	13.0%	501	235
მოკლევადიანი სესხი დაკავშირებული მხარისგან (GEL)	12.0%	22	1
სს „თიბისი ლიზინგის“ მიმდინარე ნაწილი (GEL)	19.25%	23	-
სულ მოკლევადიანი სესხები		3,305	1,601
სულ სესხები		6,933	6,047

13. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხებისა და იჯარების მოძრაობა:

	სესხები		იჯარა	
	2023	2022	2023	2022
1 იანვარი	6,047	5,574	-	85
ძირითადი თანხის დამატება	16,550	12,522	76	-
დარიცხული პროცენტი	951	796	8	4
გადახდილი ძირითადი თანხა	(15,735)	(12,052)	(11)	(83)
გადახდილი პროცენტი	(945)	(793)	(8)	(4)
საკუთრობის სხვაობის კორექტირება	-	-	-	(2)
31 დეკემბერი	6,868	6,047	65	-

მიღებული სესხების და სალიზინგო ვალდებულებების მიზნობრიობას წარმოადგენს ბიზნეს პროცესების დაფინანსება, კერძოდ, ძირითადი საშუალებების შეძენა.

ბანკიდან აღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით და მესაკუთრეთა წილებით.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	1,275	1,275
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	1,915	1,533
გადასახდელი ხელფასები	893	753
გადასახდელი გადასახადები, წმინდა	-	8
მიღებული ავანსები	299	281
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	4,382	3,850

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გაშლა ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 15-ში.

15. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას ჯგუფს გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- **საკრედიტო რისკი:** ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- **ლიკვიდობის რისკი:** რისკი იმისა, რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- **საბაზრო რისკები:** რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, ჯგუფი იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

15. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,404	4,694
ფული და ფულის ეკვივალენტები	82	69
სულ ფინანსური აქტივები	5,486	4,763

ფინანსური ვალდებულებები	31-დეკ-23	31-დეკ-22
სესხები	6,933	6,047
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,083	3,569
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,016	9,616

საკრედიტო რისკი

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდრო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. ჯგუფის ყველაზე დიდი დებიტორია საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი “ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო” (“NHA”) (შენიშვნა 11) სახით. NHA იხდის დავალიანებას ჯგუფის მიმართ მისი წარმოშობიდან დაახლოებით 3 თვის განმავლობაში.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში.

	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,404	4,694
ფულადი სახსრები ბანკში	74	59
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	5,478	4,753

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დასაფარი ვადებით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები):

სავაჭრო მოთხოვნები	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	1,845	3,502	55	-	-	5,402
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,845	3,502	55	-	-	5,402

სავაჭრო მოთხოვნები	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	1,635	2,996	55	-	-	4,686
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,635	2,996	55	-	-	4,686

15. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სესხები	137	231	3,388	4,429	-	8,185
საიჯარო ვალდებულება	3	6	26	49	-	84
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	901	1,274	1,015	-	-	3,190
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,041	1,511	4,429	4,478		11,459

	1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სესხები	118	236	1,877	5,398	567	8,196
საიჯარო ვალდებულება	-	-	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	871	1,129	808	-	-	2,808
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	989	1,365	2,685	5,398	567	11,004

ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში, ამისთვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (შენიშვნა 13). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზრდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირია:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,300	99	5	5,404
ფული და ფულის ეკვივალენტები	79	2	1	82
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,379	101	6	5,486

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,599	90	5	4,694
ფული და ფულის ეკვივალენტები	69	-	-	69
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,668	90	5	4,763

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	6,868	65	-	6,933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,964	28	91	4,083
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,832	93	91	11,016

15. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	6,047	-	-	6,047
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,472	65	24	3,561
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,519	65	24	9,608

სენსიტიურობის ანალიზი

ლარის გაცვლითი კურსის 20%-იანი გმაცარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგებას 1 ლარით (2022: 5 ლარით).

16. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციების მოცულობა და ნაშთები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ტრანზაქციების ოდენობა:	2023	2022
გაყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებულ საწარმოებზე	292	157
გაყიდვები მეკავშირე საწარმოზე	142	129
მეკავშირე საწარმოსგან მიღებული დივიდენდი	400	350
შესყიდვები მეკავშირე საწარმოსგან	863	886
შესყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოებისგან	1,413	1,636
საკვანძო მენეჯმენტის ანაზღაურება	271	247
ნაშთები	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	4	3
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
მეკავშირე საწარმო	273	408
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	1,430	866
მიღებული სესხები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	22	1

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

დივიდენდის გაცემა

2024 წლის განმავლობაში მშობელს გაცემული აქვს დივიდენდი 352 ლარის ოდენობით ანგარიშების ხელმოწერის თარიღისთვის.

“ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერი

ორგანიზაციის ბიზნეს-განვითარება, ფინანსური მაჩვენებლები და მდგომარეობა

შპს ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი და მისი შვილობილი კომპანია (ერთობლივად მოიხსენიება როგორც „ჯგუფი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევას პაციენტებისთვის კარდიოვასკულარული მიმართულებით.

კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, დიღომში, ჩაჩავას ქ.1.

კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გიორგი ყიფიანი	96.00%	96.00%
ზაზა კაციტაძე	2.00%	2.00%
ნუგზარ ფარდალავა	1.00%	1.00%
მამუკა ბოკუჩავა	1.00%	1.00%
	100%	100%

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალი შეადგენდა 352 ათას ლარს, ხოლო შემოსავალი ამავე პერიოდებისთვის შესაბამისად იყო 19,863 ათასი და 18,979 ათასი ლარი.

ჯგუფის სტრატეგია:

- ჯგუფი გეგმავს საქართველოში არსებული ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე წამყვანი კომპანიების რიგში შესვლას მომხმარებლებისა და მომსახურე პერსონალის მუდმივი პრიორიტეტულობის გზით.
- მომხმარებლებისთვის უმაღლესი ხარისხის მომსახურების გაწევას.
- ახალი მიმართულებების და შესაძლებლობები დანერგვაში წამყვანი პოზიცია.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი არის წამყვანი მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი, რომელიც განთავსებულია თბილისში, დიღმის რაიონში, ჩაჩავას ქუჩის 1-ში, 9-სართულიანი შენობის მე-5 და მე-6 სართულებზე. მისი პრივატიზაცია მოხდა 2010 წელს.

შპს ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი წამყვანი მრავალპროფილური ცენტრია, რომელიც თითქმის ყველა ტიპის კარდიო და ანგიოლოგიის გადაუდებელ და გეგმურ სამედიცინო მკურნალობას/მომსახურებას ახორციელებს. ძირითადი სამედიცინო მიმართულებებია: კარდიოქირურგია, კარდიოლოგია, ანგიოქირურგია, ანგიოლოგია და ინტერვენციული რადიოლოგია.

ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარულ ცენტრს აქვს 5 საოპერაციო ბლოკი და 62 საწოლი. კომპანია ყოველთვიურად მომსახურებას უწევს საშუალოდ 365 სტაციონარულ და 1,260 ამბულატორიულ პაციენტს. დაქირავებულია 351 თანამშრომელი.

ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი უზრუნველყოფს ფართო სპექტრის კლინიკური და დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას, მათ შორის: კომპიუტერული ტომოგრაფია, რენტგენული რადიოგრაფია, ულტრაბგერითი გამოკვლევა, კოლპოსკოპია, ენდოსკოპია და სხვ. კლინიკა სრულადაა აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და ინსტრუმენტებით.

შპს ჩაჩავა 1 ფლობს ორ-სართულიან შენობას ტერასით, რომელიც მდებარეობს თბილისში, დიღმის რაიონში, ჩაჩავას 1-ში. კომერციული ფართები გაქირავებულია სხვადასხვა იურიდიულ პირზე, რომლებიც ასევე ეწევიან სამედიცინო საქმიანობას.

ორგანიზაციის სამომავლო განვითარების გეგმები

ბაზარზე არსებული რყევებისა და ცვალებადობის მიუხედავად, კომპანია კვლავ ინარჩუნებს თავის საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიებს. ესენია:

- ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა

**“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერი**

ორგანიზაციის სამომავლო განვითარების გეგმები (გაგრძელება)

- სამედიცინო ინფრასტრუქტურის თანამედროვე ტექნოლოგიებით მოდერნიზება ფინანსური ეფექტიანობის შენარჩუნების ფონზე, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში არსებული რეალობის გათვალისწინებით.
- პერსონალის (როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო) განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში მუდმივი ინვესტირება
- ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებების დანერგვა

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ დაფინანსების კუთხით მრავალი ცვლილება განხორციელდა. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად მოიცავდა პროგრამის მხრიდან დაფინანსების განაკვეთების შემცირებას. ამ ცვლილებებმა ჯანდაცვის სექტორზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, რამდენადაც სამედიცინო მომსახურების მრავალი მიმწოდებლისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წილი მთლიან შემოსავალში 80%-ზე მეტს შეადგენს. ჯგუფის სტრატეგია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მიმართული იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების წილის შემცირებისკენ მთლიან შემოსავლებთან მიმართებით. ეს მიღწეულ იქნა უფრო თანამედროვე მომსახურებების დანერგვითა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე ცნობილი პროფესიონალების ქართველი საზოგადოებისთვის გაცნობით. აღნიშნულმა სტრატეგიამ გაამართლა, ვინაიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებმა გაცილებით ნაკლები უარყოფითი გავლენა მოახდინა კომპანიაზე მთელ ჯანდაცვის სფეროსთან შედარებით. ჩვენ მომდევნო წლებშიც ვაპირებთ ამ სტრატეგიის შენარჩუნებას.

ჯგუფი ახლო მომავალში აპირებს საქმიანობის გაფართოებას ამბულატორიული მიმართულებით. ეს უფრო ხელმისაწვდომს გახდის პირველად სამედიცინო მომსახურებას. ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად, ამგვარი მომსახურების დანერგვას ვგეგმავთ ცნობადი და პროფესიონალი ქართველი სპეციალისტების დახმარებით.

2024 წელს კომპანია გეგმავს რამდენიმე პროექტის განხორციელებას. მათ შორის:

- ინვესტიციების განხორციელება თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობაში უფრო მაღალი ხარისხის მომსახურებების უზრუნველსაყოფად
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო კადრების დაქირავება

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

ჯგუფს კვლევისა და განვითარების კუთხით პროექტები არ განუხორციელებია.

ინფორმაცია ორგანიზაციის ფილიალებზე

ჯგუფი იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

ჯგუფის მიერ 2023 წელს არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შესყიდვა.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

		2023	2022
1	შემოსავალი	19,863	18,979
2	მთლიანი მოგება	2,939	3,267
3	წმინდა (ზარალი)/მოგება	(485)	344
4	მთლიანი მოგების მარჟა	15%	17%

სხვა არსებითი მაჩვენებლები მოიცავს შემდეგს:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის პერსონალი შედგებოდა 352 თანამშრომლისგან, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრისთვის - 355 თანამშრომლისგან. შრომის ანაზღაურების ხარჯები ყოველთვიურად ცვალებადია

“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი (გაგრძელება)

სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების სისტემის მახასიათებლებიდან გამომდინარე, 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის საშუალო თვიურმა სახელფასო ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა 822 ათასი და 694 ათასი ლარი.

კომპანია მომხმარებელს მრავალი სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის 230 განსხვავებული სახის ამბულატორიული და 180 სახის სტაციონარული მომსახურებას.

მიღებული პაციენტების რაოდენობა:

მომსახურება	2023	2022
ამბულატორიული	15,118	14 815
სტაციონარული	4,374	4 697

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. ჯგუფის გაყიდვების უდიდესი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვებზე. გარდა ჯგუფის შიდა ტრანზაქციებისა, კომპანიის ყველაზე მსხვილ დებიტორს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს სახით. ამ უკანასკნელის საკრედიტო პირობებს განსაზღვრავს მთავრობა და იგი შეადგენს დაახლოებით 3 თვეს. რაც შეეხება დანარჩენ კონტრაგენტებს, საკრედიტო ვადა მათთვის 30-დან 90 დღემდეა. ჯგუფს აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების გარკვეული ოდენობა, რომელიც რეზერვდება კომპანიის დებიტორული დავალიანებების რეზერვირების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან დაკავშირებული საკრედიტო ვადაც 30-დან 90 დღემდე მერყეობს უმსხვილეს კონტრაგენტებთან. თუმცა, ჯგუფს აქვს 6 თვიანი საკრედიტო ვადის მქონე ვალდებულებები კერძო მოლაპარაკებებისა და შესაბამისად. ამჟამად კომპანია მოელის ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვას. ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინებით. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი მოლაპარაკებებს აწარმოებს მომწოდებლებთან გადახდის თარიღის გადავადების, ხოლო ბანკებთან - მოკლევადიანი სესხის აღების მიზნით.


ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკები და განუსაზღვრელობები	მენეჯმენტის რეაგირება
1	სავალუტო რისკი - შესყიდვების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი	კომპანიას არ აქვს ოფიციალური პროცედურა სავალუტო რისკების მართვასთან დაკავშირებით, თუმცა მენეჯმენტი თვლის რომ ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით კარგად ინფორმირებულია და ყველა ზომას იღებს სავალუტო რისკების შესამცირებლად.
2	საკრედიტო რისკი - არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს მას დროულად. შესაბამისად, ეს კომპანიისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს.	„ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.
3	პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
4	რეგულირების რისკი - ჯანდაცვის სექტორი ექვემდებარება სამთავრობო რეგულაციებს	მდგრადი ბიზნეს მოდელის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდასა და რეგულაციურ ცვლილებებთან შესაბამისობას.

დირექტორი

კონსტანტინე ყიფიანი



“ზოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი” ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერი

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი (გაგრძელება)

სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების სისტემის მახასიათებლებიდან გამომდინარე, 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის საშუალო თვიურმა სახელფასო ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა 822 ათასი და 694 ათასი ლარი.

კომპანია მომხმარებელს მრავალი სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის 230 განსხვავებული სახის ამბულატორიული და 180 სახის სტაციონარული მომსახურებას.

მიღებული პაციენტების რაოდენობა:

მომსახურება	2023	2022
ამბულატორიული	15,118	14 815
სტაციონარული	4,374	4 697

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. ჯგუფის გაყიდვების უდიდესი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვებზე. გარდა ჯგუფის შიდა ტრანზაქციებისა, კომპანიის ყველაზე მსხვილ დებიტორს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს სახით. ამ უკანასკნელის საკრედიტო პირობებს განსაზღვრავს მთავრობა და იგი შეადგენს დაახლოებით 3 თვეს. რაც შეეხება დანარჩენ კონტრაგენტებს, საკრედიტო ვადა მათთვის 30-დან 90 დღემდეა. ჯგუფს აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების გარკვეული ოდენობა, რომელიც რეზერვდება კომპანიის დებიტორული დავალიანებების რეზერვების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან დაკავშირებული საკრედიტო ვადაც 30-დან 90 დღემდე მერყეობს უმსხვილეს კონტრაგენტებთან. თუმცა, ჯგუფს აქვს 6 თვიანი საკრედიტო ვადის მქონე ვალდებულებები კერძო მოლაპარაკებებისა და შესაბამისად. ამჟამად კომპანია მოელის ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვას. ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინებით. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი მოლაპარაკებებს აწარმოებს მომწოდებლებთან გადახდის თარიღის გადავადების, ხოლო ბანკებთან - მოკლევადიანი სესხის აღების მიზნით.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკები და განუსაზღვრელობები	მენეჯმენტის რეაგირება
1	სავალუტო რისკი - შესყიდვების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი	კომპანიას არ აქვს ოფიციალური პროცედურა სავალუტო რისკების მართვასთან დაკავშირებით, თუმცა მენეჯმენტი თვლის რომ ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით კარგად ინფორმირებულია და ყველა ზომას იღებს სავალუტო რისკების შესამცირებლად.
2	საკრედიტო რისკი – არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს მას დროულად. შესაბამისად, ეს კომპანიისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს.	„ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.
3	პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც.	მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
4	რეგულირების რისკი - ჯანდაცვის სექტორი ექვემდებარება სამთავრობო რეგულაციებს	მდგრადი ბიზნესი მოდელის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდასა და რეგულაციურ ცვლილებებთან შესაბამისობას.

დირექტორი
კონსტანტინე ყიფიანი